



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №16

ქ. ბათუმი

2018 წლის 14 დეკემბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

ლამა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
დიმიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატალია შიშიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - თ. პეტრიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი -
- ე. ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მ. მეტრეველი;
- ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - ჯ. კობალაძე;
- შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი - ბ. ფარტენაძე;
- ა(ა)იპ - „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის“ დირექტორი - დ. დიასამიძე;
- ა(ა)იპ - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი - ე. შამილი-შვილი;
- ა(ა)იპ - „ბათუმის სასაფლაოების“ დირექტორი - ა. ბურკაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებზე ჩატარებულია საკრებულოს კომისიის სხდომები და წარმოდგენილია დადებითი დასკვნები. მან სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და
ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

3. „სახელმწიფო და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადმოსაცემი საცხოვრებელი ბინების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 26 ოქტომბრის №241 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადებების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ გააკეთა განცხადება თამარის დასახლებაში ტრანსპორტის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ მოსახლეობის მოთხოვნაა ტრანსპორტის მოძრაობა განისაზღვროს თამარის დასახლებიდან ბონში, ბაზრის მიმართულებით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხია, რომ აკვირდება აღნიშნული მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობას, რის შემდეგაც მიიღებენ ზომებს, რაზედაც საკრებულოს წევრმა თ. სალუქვაძემ განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მოთხოვნაა მუნიციპალური ავტობუსის მოძრაობა განისაზღვროს ქალაქის ცენტრალური ქუჩით, კერძოდ: რუსთაველის ქუჩით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მერიასთან კონსულტაციის შემდეგ მიაწვდის სრულ ინფორმაციას.

საკრებულოს წევრი მ. ქამადაძე გამოეხმაურა მთავრობის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელმაც შურისძიებით დაემუქრა ოპოზიციას. ზოგადად მთავრობის თავმჯდომარემ კარგად იცის, შეიძლება თუ არა შურისძიება, როცა 800 ათასი ამომრჩეველი მხარს უჭერს პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. მან მიმართა საკრებულოს წევრების უმრავლესობას: თუ ეთანხმებით ამ პათოსს, შურისძიება შეგიძლიათ დაიწყოთ ჩემგან.

მ. ქამადაძის პასუხად სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომის დაწყებამდე შეიკრიბა უმრავლესობა, იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხზე და გადაწყვიტა, რომ ეს საკითხი კიდევ ერთხელ არ წამოეწიათ, გამომდინარე იქედან, რომ ნაციონალური მოძრაობის რეგიონალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ლაპარაკობს სიძულვილის ენით, შეურაცხყოფას აყენებს აჭარაში მცხოვრებთ და ყველა აჭარელს აფურთხებს სულში, ჩვენ უფრო ვფიქრობდით, რომ ნაციონალური მოძრაობის საკრებულოს წევრები გამოვიდოდნენ და ბოდიშს მოუხდიდნენ

მოსახლეობას. საკრებულოს თავმჯდომარემ აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს გამოუცხადა უპირობო მხარდაჭერა საკრებულოს უმრავლესობის სახელით.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ მიმართა მოსახლეობას, რომ ქართული ოცნების ყველა გვერდში მდგომი ცდილობს მუდმივად გადაიყვანოს ნებისმიერი დიალოგი კონსტრუქციულ ღირებულებებზე დაფუძნებულ თემებზე და დიალოგის ფორმებზე, მაგრამ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გვერდში ყოფნით ვერ გაკეთდება, რადგან მათი ამოცანაა არანაირად არ დაუშვან მოსახლეობასთან პოზიტივი, რომელიც ჩვენს მიმართაა გამოგზავნილი, რის გამოც მოსახლეობას ბოდიშს უხდის, რომ მუდმივად უწევს ასეთი ფორმატით საკრებულოს სხდომების თუ დებატების მოსმენა.

სხდომის თავმჯდომარემ აღელვებისთვის დამსწრე-საზოგადოებას, ამომრჩევლებს ბოდიში მოუხადა.

საკრებულოს წევრმა ბ. გოგოტიშვილმა განაცხადა, რომ აჭარის რეგიონის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება და რაც შეეხება ჯელალ ქიქავას განცხადებას, აღნიშნა, რომ სწორად მოაზროვნე ადამიანი მის ადგილას ბოდიშს მოიხდიდა. ის ეთანხმება სხდომის თავმჯდომარის გაკეთებულ განცხადებას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ
ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება. ასევე გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის თანხა. ასევე საკუთარი შემოსავლების, ელექტრონული ტენდერების და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შედეგად დაფიქსირებული ეკონომიების ხარჯზე გათვალისწინებული იქნა ახალი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება. პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 1 362.0 ათასი ლარით, მათ შორის: სპეციალური ტრანსფერი 1,362.2 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის“ პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით.

სხვა შემოსავლები - 1 324.1 ათასი ლარით, იზრდება წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივების კლება - 5 000.0 ათასი ლარით, მცირდება წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 1,362.0 ათასი ლარით.

პროექტი ითვალისწინებს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

დანართი თან ერთვის.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ დასვა შეკითხვა გარე განათებასთან დაკავშირებით, კერძოდ, გონიოში, ე. წ. ბუნგალოების მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათება მთელი ზაფხულის განმავლობაში არ მოქმედებდა. ტურისტული სეზონის განმავლობაში ჩაბნელებული იყო ეს მხარე. მან ასევე დასვა შეკითხვა ჯანდაცვის პროგრამის 250 ათასი ლარიდან 100 ათასი ლარით შემცირებასთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ თანხების ამოღება (ეკონომიები) განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მოცემული ღონისძიებები ფინანსდება ვაუჩერული სისტემით, რომელიც გულისხმობს ბენეფიციარს, კონკრეტულად იმ სახეობებზე, გადაცემას ვაუჩერის, რომელიც მოცემული თანხით შეუძლია მიმართოს დაწესებულებას, თუ სარეაბილიტაციო მკურნალობის გავლის შემდეგ დაწესებულება წარმოუდგენს მერიას მომართვას შემდგომ დასაფინანსებლად. ვაუჩერის გამოუყენებლობის შემთხვევაში, ვადის გასვლის შემდეგ დარჩენილი თანხები იქნა ამოღებული.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ გაეცნო წარმოდგენილ ცვლილებებს, რომელიც ასახავს რეალურ სიტუაციას, რაც მერიაში და თვითმმართველობაშია შექმნილი: უნიათობა, მომხვეჭელობა, კორუფცია და ნეპოტიზმი. ინფრასტრუქტურული პროექტებიდან ვერ სრულდება დიდი ნაწილი 5,300 ათას ლარამდე, კერძოდ: ს. მესხის, სააკაძის ქუჩის, ბაგრატიონის, გურამიშვილის, მელიქიშვილის ქუჩებზე, რომლებმაც ერთი წელი უნდა იცხოვრონ გაუსადლის პირობებში. ასევე

ვერ მოხერხდა ზუბალაშვილის სკვერის რეაბილიტაცია, ბათუმის 27-ე საბავშვო ბაღის გამაგრება-რეაბილიტაცია, ასევე 7 წლის განმავლობაში გენერალური გეგმა არ შესრულებულა, მერიას გაუკეთებელ სამუშაოებზე ერიცხებათ ხელფასები. ასევე მერის მიერ წინასაარჩევნოდ დაანონსებული ღონისძიებები არაფერი არ შესრულებულა.

ქ. ბათუმის ვიცე-მერი თ. პეტრიძე არ ეთანხმება ნეპოტიზმს, კორუფციას, თუმცა პროკურატურაში შეტანილი საქმეებით, ჯერ-ჯერობით არ დადასტურებულა ვინმეზე ეჭვის საფუძველი. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კერძოდ ს. მესხის ქუჩაზე, კომპანიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოები არაჯეროვნად შესრულდა, რის გამოც მეორედ ჩატარდა ტენდერი, გამარჯვებული კომპანია ასრულებს დღესდღეობით აქტიურ ფაზაში სამუშაოებს. რაც შეეხება გონიო-კვარიათის ქუჩებს ანალოგიურად იგივე კომპანია ასრულებდა. მერიის მიერ დაინიშნა ექსპერტიზა, საიდანაც წარმოდგენილია დასკვნა, სამუშაოების არშესრულების თაობაზე. გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით თანხა გათვალისწინებულია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენაზე, კერძოდ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო თანხა 247 ათასი ლარი.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ მილიონ 100 ათასი ლარი ემატება წარმოდგენილ პროექტს, კერძოდ, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“, მან სხდომის თავმჯდომარეს მიმართა, რომ წლის დასაწყისში რვა მილიონი გადაეცა სუბსიდიის სახით და ახლა კიდევ მილიონი ემატება, ის ამტკიცებდა, რომ „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ მერიის ერთ-ერთი ყველაზე დახურული სტრუქტურაა, საიდანაც ინფორმაციის გატანა რთულია. მისივე თქმით, ამაზე უმრავლესობის წევრებმაც შავ ხვრელად შეაფასეს. მან დასვა კითხვა მილიონის დამატების თაობაზე, როცა შპს-ები უნდა მუშაობდნენ მოგებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უმრავლესობას, ორგანიზაცია „შავ ხვრელად არასდროს შეუფასებია.

მომხსენებლის ინფორმაციით, ნამატი თანხის ნაწილი ახალ ხაზებზე დასაქმებული

მძღოლებისთვის – 500 000, ნაწილი კი საწვავისთვის – 600 000 ლარი გაითვალისწინეს, რაც ორგანიზაციის შემოსავლების სიმცირემ და საწვავის ფასის ზრდამ განაპირობა.

სხდომას შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი ბადრი ფარტენაძეც ესწრებოდა. ის ოპოზიციის კითხვებმა გააღიზიანა: მან აღნიშნა, რომ არავითარი შავი ხვრელი არ არსებობს, ჩვენ ვმუშაობთ გეგმაზომიერად და მათი ორგანიზაცია ეკონომიაზეა დამყარებული. გამომდინარე აქედან, შავი ხვრელი, ნეპოტიზმი, კორუფცია არ არსებობს, ნებისმიერი ორგანიზაციის მიერ დაინტერესების შემთხვევაში წერილობით გაეცემა პასუხები.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია მზაობა წერილებზე პასუხის გაცემასთან დაკავშირებით, რადგან ამ დრომდე ამ სტრუქტურაში გაგზავნილ წერილებზე ოპოზიციას პასუხები არ მიუღიათ, რაზედაც არ დაეთანხმა ბათუმის ავტოტრანსპორტის დირექტორი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 2(ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე)

არ მიიღო მონაწილეობა-2(რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს წევრებმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მ. ქამადაძემ და ლ. ანთაძემ დატოვა სხდომათა დარბაზი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურში არსებულ ზოგიერთ ვაკანტურ თანამდებობაზე რამოდენიმეჯერ იქნა გამოცხადებული კონკურსი, თუმცა კონკურსი ჩაიშალა იმის გამო, რომ საკონკურსო პოზიციები წარმოადგენს დაბალი კატეგორიის სპეციალისტის თანამდებობებს, რის გამოც საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ხელფასი არის დაბალი. იმისათვის, რომ მოხდეს ხსენებული სამსახურის სრულად დაკომპლექტება მიზანშეწონილია სამსახურში არსებული ზოგიერთი პოზიციისათვის უფრო მაღალი კატეგორიით შეცვლა და შესაბამისად ხელფასის ოდენობის ზრდა. ამასთან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილების გაძლიერების მიზნით მიზანშეწონილია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების ვაკანტური პოზიციების გადმოტანა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურში როგორც არსებული პოზიციების უფრო მაღალი კატეგორიების თანამდებობებად გადაკეთებას, ისე ვაკანტური პოზიციების გადაადგილებას.

დადგენილების პროექტის მიხედვით ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (1 საშტატო ერთეული) და მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (2 საშტატო ერთეული) პოზიციების გადაკეთება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად, საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (3 საშტატო ერთეული) პოზიციების გადაკეთება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად, ისტორიული განაშენიანების ზონის განვითარების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (1 საშტატო ერთეული) პოზიციის გადაკეთება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად. ამასთან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (3 საშტატო ერთეული) ვაკანტური პოზიციების

გადატანა ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

3. „სახელმწიფო და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადმოსაცემი საცხოვრებელი ბინების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 26 ოქტომბრის №241 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და თვითმმართველ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თვითმმართველ ქ. ბათუმზე გადმოსაცემი საცხოვრებელი ბინების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 26 ოქტომბრის №241 განკარგულებით შეიქმნა შესაბამისი კომისია. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის გამო მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნულ განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების რიგი პუნქტები მოვიდეს მერიის სტრუქტურასთან შესაბამისობაში.

პროექტის ძირითადი არსია: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნასყიდობის

ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი სა-
ცხოვრებელი ბინების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

ვადასტურებ:	რ. ბოლქვაძე	–	საკრებულოს აპარატის უფროსი
ვიზირებულია:	ს. შვენთიძე	-	საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი
	მ. თურმანიძე		საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი
ოქმი შეადგინა:	მ. წულუკიძე	–	საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი